

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი

01.04.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
თინათინ ბოჭორიშვილი - შპს - "სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის" რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
აკაკი ხელაძე - შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორი;
ქეთევან ცხადაძე - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" სამართლის სკოლის დეკანი, პროფესორი;
მარინა გედევანიშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
დალი კანდელაკი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საუნივერსიტეტო საბჭოს აპარატის უფროსი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გიორგი გვალია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;
ირაკლი ხვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი;
პაატა შურღაია - შპს "გრანტ თორნტონის ბიზნეს პროცესების" გადაწყვეტილების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

გიორგი სოსიაშვილი - რექტორის მოადგილე;

ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;

ანზორ დიასამიძე - გენერალური დირექტორი;

რუსლან დიასამიძე - რექტორი;

გურამ ქათამაძე - სასწავლო განყოფილების უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ლილი შატერაშვილი;

ია მოსაშვილი;

ია ნაცვლიშვილი;

სალომე ძაგნიძე;

ციცინო თურქაძე;

ნინო გორგოშაძე;

დავით ტეფნაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:11 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის უმაღლესი

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ექსპერტების თხოვნაზე დაყრდნობით დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით განსაზღვრული განსახილველი საკითხების თანმიმდევრობის შეცვლაზე. აღნიშნული შუამდგომლობა საბჭოს ყველა წევრის მიერ ერთხმად იქნა გაზიარებული.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დაამტკიცა სხდომის ახალი დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.



1. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კვალიფიციური საქიანობისთვის და სთხოვა გაეცნოთ დასკვნაში ასახული ძირითადი მიგნებები. საბჭოს წევრებს ექსპერტთა დასკვნა და ძირითადი მიგნებები გააცნო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციციწო თურქაძემ. მან განმარტა, რომ მონიტორინგი განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში. მისი განმარტებით, სამუშაო იყო საკმაოდ შრომატევადი, ვინაიდან ავტორიზაციის პროცესისგან განსხვავებით, დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი თვითშეფასება და დოკუმენტაცია არ იყო სისტემატიზებული. მისია დაწესებულებას განახლებული ჰქონდა, ასევე შემუშავებული იყო 7 წლიანი სტრატეგიული და 3 წლიანი სამოქმედო გეგმები. პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულება შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, თუმცა ექსპერტებს ჰქონდათ გარკვეული რეკომენდაციები შემუშავებული აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით:

- სასწავლებლის ვებ-გვერდზე უნდა ატვირთოს მხოლოდ მოქმედი დოკუმენტი - კოლეჯის მისია, მიღებული 03.01.2019.
- სამოქმედო გეგმაში ნათლად განისაზღვროს განსახორციელებელი აქტივობების განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები
- სტრატეგიული მიზნები - მონიტორინგი და ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი წარმოდგეს და განხორციელდეს როგორც მექანიზმი და არა სტრატეგიული მიზანი.
- გაუმჯობესდეს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით, მონიტორინგის შედეგებზე სათანადო რეაგირებით.

თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს, ხომ არ იყო მისიის განახლება დაკავშირებული დაწესებულებაში განხორციელებულ მონიტორინგის პროცესთან და ჰქონდათ თუ არა დაწესებულებას განახლებული მისია წარმოდგენილი ცენტრში, ასევე სად იყო ასახული მისია, წესდებაში თუ სტრატეგიაში. საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა დამატებით იკითხა, იყო თუ არა განახლებული მისია განთავსებული ვებგვერდზე და წარმოდგენილ დოკუმენტებში იყო თუ არა გამოგზავნილი ექსპერტებისა და საბჭოს წევრებისათვის. ექსპერტმა ნინო გორგოშაძემ განმარტა, რომ დაწესებულების ვებგვერდზე მათი ვიზიტის დროს და წარმოდგენილ მასალებში ასახული იყო ძველი მისია, თუმცა სამართლებრივ აქტების ლინკზე განთავსებული იყო განახლებული მისია.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ შეცვალა დაწესებულებამ მისია, რაზეც დაწესებულების ფაკულტეტის დეკანმა, გურამ ადამაძემ განმარტა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად ცვლიდა და აზუსტებდა დოკუმენტაციას საზღვაო სფეროში და განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მათი მისია იყო ძალიან ვრცელი, აერთიანებდა დაწესებულების მიზნებს, სტრატეგიულ გეგმებს, და ამ დროს მისიის ავტორად მითითებულია ერთი პირი, ითანხმებს ასევე ერთი თანამშრომელი და ბოლოს ამტკიცებს რექტორი. დალი კანდელაკმა იკითხა, თუ რამდენად მართებული იყო მისიის ერთი პირის მიერ შექმნა, შეთანხმება და დამტკიცება. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს მითითება იყო ფორმალური, რეალურად კი მისიას შეიმუშავა ყველამ ერთად და დაამტკიცა სენატმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს, რამდენად დარწმუნდნენ იმაში, რომ მისიის შემუშავებაში ჩართულ იყო პერსონალის სრული შემადგენლობა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციციშვილ თურქაძემ უპასუხა, რომ მისია, როგორც აღინიშნა, იყო საკმაოდ ვრცელი, თუმცა დიდად არ განსხვავდებოდა წინა მისიისაგან, მისიის შემუშავებაში ჩართულობა უფრო იმაში გამოიხატებოდა, რომ მისიას ამტკიცებდა კოლეგიური ორგანო სენატი, რაც შეეხება ერთი პირის მიერ შემუშავებას, დაწესებულება ფლობდა ISO 9001-ს, რომლის ფორმალური მოთხოვნა იყო ყველა დოკუმენტზე მითითებული ყოფილიყო შემსრულებელი, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მხოლოდ ამ ადამიანის მიერ იყო შექმნილი დაწესებულების მისია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად კარგად იყო გაწერილი სამოქმედო გეგმა და მასში ასახული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, საჭირო დრო და ფინანსები. ექსპერტ, ნინო გორგოშაძის განმარტებით, თითქმის ყველა აქტივობაზე პასუხისმგებელ პირად მითითებულია რექტორი, ასევე არ არის კონკრეტული ვადები მითითებული, ამიტომ რეკომენდაცია შეეხებოდა ამ საკითხების დაკონკრეტებას.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რამდენად სრულყოფილი იყო მათი მისია და იყო თუ არა თანხვედრაში სტრატეგიული გეგმასთან, ასევე სად ხედავდნენ მათ ნიშას ამ სეგმენტში. დაწესებულების გენერალურმა დირექტორმა, ანზორ დიასამიძემ განმარტა, რომ დაწესებულების ძალიან კარგი შედეგების გათვალისწინებით მათ მიმართულება სწორად ქონდათ აღებული, მათი ჰქონდათ კარგი ბაზა იმისთვის, რომ კარგი მეზღვაურები აღეზარდათ. ასევე ისიც აღსანიშნავი იყო, რომ 12 000 მოქმედი მეზღვაურიდან დაახლოებით 3500 მათი კურსდამთავრებულია.

საბჭოს წევრმა თამარ იოსელიანმა იკითხა, დაწესებულება ელოდა თუ არა ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს, რადგან დასკვნაში მითითებული იყო რომ დოკუმენტაცია არ იყო მოწესრიგებული, ასევე ზოგიერთი დოკუმენტი განახლებული იყო, თუმცა ვებ გვერდზე ისევ ძველი დოკუმენტაცია იყო განთავსებული. რაზეც, დაწესებულების რექტორმა, რუსლან დიასამიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად იმყოფებოდა გარე შეფასებების რეჟიმში, საერთაშორისო კონვენციის მიხედვით დაწესებულების შემოწმება, გარე შეფასება შეეძლო დამსაქმებელსაც; ამდენად მათთვის არ იყო ძლიან მოულოდნელი, თუმცა გარკვეული ცვლილებები ახალი სტანდარტების მიხედვით კვლავ ასასახი აქვს დაწესებულებას.

საბჭოს წევრი, ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა თუ რის საფუძველზე ადგენდნენ SWOT ანალიზს, რა მეთოდი ჰქონდათ გამოყენებული. ექსპერტების განმარტებით, მათ მიერ მეთოდოლოგია არ იყო იდენტიფიცირებული.

საბჭოს წევრი, პაატა შურდია, დაინტერესდა დაწესებულების მიერ ნაკისრი სასესიო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები სრულად იყო თუ არა ასახული ბიუჯეტში, რაზეც ექსპერტმა ნინო გორგოშაძემ განმარტა, რომ მათ ეს საკითხი დეტალურად არ შეუმოწმებიათ.

მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა ციციწო თურქაძემ განმარტა, რომ სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ეთიკისა და კეთილსინდისიერების ქვესტანდარტში იყო შეუსაბამობა, რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა პლაგიატის აღმოჩენის პროგრამა შემენილი, ეს ქვესტანდარტი არ შეესაბამებოდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, ექსპერტმა საბჭოს გააცნო მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- გაუმჯობესდეს სასწავლებლის სტრუქტურა სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისად, მათ შორის, სტრუქტურას დაემატოს ინფორმაციული რესურსების მართვის სამსახური, დაკორექტირდეს ან გაუქმდეს 500 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის მცურავი ერთეულის სტრუქტურული ერთეული.
- ნათლად და მკაფიოდ გაიწეროს სენატის წევრების (მათ შორის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების) არჩევის, კენჭისყრის ან შერჩევის პროცესი.
- შემუშავდეს სასწავლებლის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.
- შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა;
- შემუშავდეს და გამოყენებულ იქნას მარტივი, ეფექტური და განხორციელებადი პროცედურები/მექანიზმები შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში. დაწესებულებამ დახვეწოს და პრაქტიკულად განხორციელოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ისე რომ განხორციელებაში ეფექტურად იყოს ჩართული ყველა რგოლი (პროგრამის ხელმძღვანელები, სტრუქტურული დანაყოფები და სხვა);
- დადგენილი პერიოდულობით განხორციელდეს სტუდენტთა და სხვა პირთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- შემუშავდეს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები;
- შემუშავდეს რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას.
- შემუშავდეს პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები.

საბჭოს წევრმა თამარ იოსელიანმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს, თუ რა იყო ეთიკის კომპონენტის შეფასების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები და როგორ ახდენდა დაწესებულება საბაკალავრო ნაშრომის შემოწმებას. ექსპერტმა განმარტა, რომ ძირითად აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები გაწერილი იყო ეთიკის კოდექსში, დაწესებულებას გააჩნდა მხოლოდ ეს ერთი მექანიზმი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს, რა გამოვლინდა მენეჯმენტში ძირითად პრობლემად, ვინაიდან დაწესებულების საქმიანობაში არსებული ხარვეზები ყოველთვის მენეჯმენტში არსებული პრობლემას უკავშირდებოდა. ექსპერტმა ნინო გორგოშაძემ განმარტა, რომ მართალია დაწესებულებაში არსებობდა სტრუქტურა, თუმცა პერსონალი აღიქვამს, რომ ყველა ექვემდებარება გენერალურ დირექტორს.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა რამდენი პირი იყო დასაქმებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. ექსპერტთა თავმჯდომარის, ციციწო თურქაძის განმარტებით, სამსახურს ჰყავდა უფროსი და სამი სპეციალისტი, საიდანაც ერთი იყო შტატგარეშე თანამშრომელი. ექსპერტთა აზრით, ხარისხის მექანიზმები უნდა იყოს ქმედითი, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მცირე მასშტაბისა, არ ჩანდა ერთობლივი მუშაობის შედეგები. ექსპერტმა ნინო გორგოშაძემ დამატებით აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულებას ჰქონდა ISO სერთიფიკატი მენეჯმენტში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორივე მიმართულებით ითავსებდა ხარისხის ფუნქციას.

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა იკითხა, რომ ვინაიდან სტრუქტურას დამატებული ჰქონდა ინფორმაციული რესურსების სამსახური, ვინ უძღვებოდა რეესტრის ფუნქციონირებას. დაწესებულების რექტორმა, რუსლან დიასამიძემ განმარტა, რომ ექსპერტების ვიზიტის შემდგომ კიდევ შეცვალეს სტრუქტურა, რეესტრზე პასუხისმგებელი იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რომ თუ დაწესებულებას არ ჰქონდა პლაგიატის აღმომჩენი პროგრამა, ასევე არ იყო გაწერილი სილაბუსებში აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორ ახდენდა დაწესებულება პერსონალის, შესაბამისად აფილირებული პერსონალის ნაშრომების შეფასებას რა მექანიზმები ჰქონდათ ამისთვის დანერგილი. დაწესებულების წარმომადგენელმა, გურამ ადამაძემ განმარტა, რომ 2012 წელს ჩაატარეს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი, თუმცა 2018 წლის მაისის შემდეგ კვლევითი სამუშაო არ ჩატარებულა, არც კონფერენცია ჰქონიათ, მიმდინარე წლის 27 მარტის სენატის სხდომაზე დაამტკიცეს ეთიკის კოდექსი, ცვლილებები წელი ტემპით თუმცა ყველა დოკუმენტში შეაქვთ, ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულებაში ფუნქცია-მოვალეობების თავში გაწერილია, რომ პერსონალმა უნდა დაიცვას ეთიკის კოდექსი და კონფიდენციალურობა.

საბჭოს წევრმა გიორგი აბრამიშვილმა აზრი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებას ჰქონდა ISO სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატი და ამ დროს მოუწესრიგებელი იყო დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა იკითხა, რატომ იყო გაერთიანებული სპორტის სამსახური და სტუდენტთა თვითმმართველობის ცენტრი, სადაც თანამშრომელთა ნაწილს ნიშნავდა გენერალური დირექტორი, მაშინ როცა თვითმმართველობა სტუდენტთა მიერ არჩეული წარმომადგენლობაა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტრუქტურაში ეს ცვლილებები უკვე ასახეს და ეს სამსახურები გაყოფილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს, რატომ არ ჰქონდა დაწესებულებას ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული აქტივობები განხორციელებული. სტანდარტები 2017 წლის ბოლოს უკვე ჩამოყალიბებული იყო და მათ საკმაოდ დიდი დრო ჰქონდათ სამუშაოდ, მიუხედავად ამისა რიგი დოკუმენტები დამტკიცებული ჰქონდათ მონიტორინგის შემდგომ, მარტის თვეში. რაზეც წარმომადგენელმა გურამ ადამაძემ განმარტა, რომ მათ მონიტორინგის დასკვნა მიიღეს მარტის თვეში და არგუმენტირებული პასუხის მომზადება და ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინება მაშინვე დაიწყეს, ამიტომ მოხდა ისე, რომ 27 მარტს შეიტანეს ცვლილებები ეთიკის კოდექსში.

მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციციჩო თურქაძემ განმარტა, რომ დაწესებულება ახორციელებდა ორ საბაკალავრო პროგრამას, ორივე პროგრამა რეგულირებადი იყო და შესაბამისი სტანდარტების დაცვით იყო შემუშავებული, ექსპერტების მიერ სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ექსპერტებმა ამ სტანდარტთან დაკავშირებით შეიმუშავეს შემდეგი რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ შიდა ხარისხის მექანიზმების გამოყენებით შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების არსებული დოკუმენტების გამართულობა, გააუმჯობესოს და ნათელი გახადოს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების წესი და პროცედურები.

- საგანმანათლებლო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობას. ამ მხრივ დასახვეწი და გასაუმჯობესებელია კოლეჯში მოქმედი საბაკალავრო პროგრამები.
- მოდერნიზდეს „სტუდენტთა შეფასებისა და გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩატარების წესი“ უფრო მოქნილი, გამჭვირვალე და სწავლის შედეგების ადექვატურ შეფასების მიდგომებზე ორიენტირებით.
- სასწავლო პრაქტიკის სილაბუსებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სწავლის შედეგის შეფასებისათვის ნათლად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა გაწერილი იყო თუ არა პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები და რა იყო ეს წინაპირობები, ასევე უზრუნველყოფილი იყო თუ არა პროგრამების შედეგზე გასვლა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციციშვილმა თურქაძემ განმარტა, რომ მათ მიერ გადამოწმდა სრულდებოდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები. შეფასების თაობაზე ჰქონდათ რეკომენდაციები, თუმცა შეფასების წესი შესაბამისობაში იყო კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

საბჭოს წევრი ქეთევან ცხადაძე დაინტერესდა, რატომ იხდიდნენ სტუდენტები გაცდენილ ლექციაში ჯარიმას, ერთ ლარს, რაზეც დაწესებულების გენერალურმა დირექტორმა, რუსლან დიასამიძემ განმარტა, რომ ეს არ იყო აკრძალული კანონმდებლობით, ამ საჩუქრის დაწესება სტუდენტთა ლექციაზე დასწრების ზრდას ემსახურებოდა და დადებითად აისახა სტუდენტთა დასწრების მაჩვენებლებზე.

საბჭოს თავმჯდომარე განუმარტა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ლექციაზე დასწრება კანონმდებლობის მიხედვით თავისუფალი იყო, მათ შეეძლოთ შეფასების სისტემაში ისე გადაენაწილებინათ შეფასების მიღების შესაძლებლობა, რომ სტუდენტს ლექციაზე დასწრების მოტივაცია გაზრდოდა.

მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა, ნინო გორგოშაძემ, განმარტა, რომ სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა ექსპერტთა ძირითადი შენიშვნა შეეხებოდა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის არ არსებობას. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო დაწესებულებას გაეთვალისწინებინა ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მათ შემდგომ მართვაში:

- შემუშავდეს პერსონალის მართვის პოლიტიკა მწყობრი სისტემით;
- საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, პერსონალთან და მათ მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, კოლეჯმა უნდა დაადგინოს სამიზნე ნიშნულები და ზრუნავდეს მათ გაუმჯობესებაზე.
- კოლეჯმა პერსონალის მართვისა და განვითარებისათვის უნდა გამოიყენოს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს რა ვალდებულებებს კისრულობდა დაწესებულება აფილირებული პერსონალის მიმართ, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა სამეცნიერო კვლევებზე ორიენტირი აღებული, თუმცა კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების ხარჯების დაფარვას ითვალისწინებდა ხელშეკრულება. თავმჯდომარე დაინტერესდა, რადგან სასწავლო სპეციალური პროფილის იყო, გარდა აკადემიური პერსონალისა ვინ მონაწილეობდა სასწავლო პროცესში, რაზეც დაწესებულების გენერალურმა დირექტორმა, რუსლან დიასამიძემ განმარტა, რომ გარდა აკადემიური პერსონალისა მოწვეული ჰყავდათ მეზღვაურები,

შორეული ნაოსნობის კაპიტანები, ინსტრუქტორები, პრაქტიკოსი მეზღვაურები. თავმჯდომარედ ასევე დაინტერესდა როგორი იყო უცხო ენის სწავლების დონე. ექსპერტთა თავმჯდომარემ, ციციწო თურქაძემ განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს ჰქონდა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იყო დაწესებულების მიერ და გაუმჯობესებული იყო დარგობრივი ენის სწავლება. საბჭოს წევრი გიორგი აბრამიშვილი დაინტერესდა, რა იყო გათვალისწინებული პერსონალის პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. ექსპერტმა დავით ტეფნაძე განმარტა, რომ სტრატეგიულ გეგმაში და სამწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყო პერსონალის განვითარების მიზნით ტრენინგები და სხვა ტიპის აქტივობები.

მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ექსპერტებს ჰქონდათ მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, სტუდენტთა ინტერვიუს დროს ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ კოლეჯი ხელს უწყობდა სტუდენტებს დასაქმებაში და მათ ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა დამსაქმებელთან, თუმცა სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებები არ იყო მწყობრი და თანმიმდევრული. მე-5 სტანდარტის რეკომენდაცია: კოლეჯმა უნდა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტთა კარიერული წინსვლისა და მხარდამჭერის სერვისების მიწოდებაზე.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰყავდა 200 სტუდენტი ბაკალავრიატში, ასევე ჰყავდათ მსმენელები ტრენინგ ცენტრში, ბიუჯეტში მხარდამჭერი სერვისებისათვის რატომ იყო გამოყოფილი მხოლოდ 13000 ლარი და რამდენად საკმარისი იყო ეს თანხები. დაწესებულების გენერალურმა დირექტორმა განმარტა, რომ ეს თანხები სტუდენტთა პრაქტიკისთვის იყო გათვალისწინებული. თუმცა ირაკლი ხვთისიაშვილმა განუმარტა, რომ კითხვა არასწორად იყო აღქმული, საკითხი ეხებოდა სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების დაფინანსებას, ხოლო პრაქტიკა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტი იყო. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტებს ხელს უწყობდნენ ყველა მიმართულებით განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა კონკრეტულ აქტივობებს ახორციელებდნენ ან გეგმავდნენ სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის მიზნით, ატარებდნენ თუ არა საერთაშორისო კონფერენციებს სტუდენტთათვის. დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ სტუდენტები მიდიოდნენ შორეულ ნაოსნობაში, ამ მხრივ მათ უწევდათ უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობა. ექსპერტმა, ნინო გორგოშაძემ განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავდა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობდა, თუმცა გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობა არ დაფიქსირებულა.

საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, რამდენად ინფორმირებული იყვნენ სტუდენტები შეფასების გასაჩივრების წესისა და მათი უფლებების შესახებ, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ სტუდენტებს ინფორმაცია ძირითადად მათი უფლებების შესახებ ჰქონდათ, თუმცა მარეგულირებელი აქტები, რომელიც განთავსებული იყო ვებ გვერდზე, რიგ შემთხვევებში ცვლილებების შეტანის შემდგომ არ იყო განახლებული.

მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციციწო თურქაძემ საბჭოს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- შემუშავდეს დაწესებულების, როგორც კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტიტუციის ხედვა და მის საქმიანობაში აისახოს კვლევითი აქტივობები.

- დაწესებულებამ უნდა დაგეგმოს დ განავითაროს კვლევითი აქტივობები ისე, რომ უპასუხოს მოთხოვნას: „ახორციელებს ფუნდამენტურ და/ან გამოყენებით კვლევებს/შემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე“.
- შემუშავდეს კვლევის განვითარებისა და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სამუშაოებში, რაც მიმდინარე ეტაპზე შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა შეთავაზა ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს.
- პრაქტიკაში დაინერგოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

საბჭოს წევრი კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, დაწესებულებაში ვის შეეძლო კვლევების ხელშეწყობა, არსებობდა თუ არა ამისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები. ასევე საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა იკითხა პერსონალს ჰქონდა თუ არა სამეცნიერო ნაშრომები და ახორციელებდნენ თუ არა კვლევას. ექსპერტმა ციციჩო თურქაძემ განმარტა, რომ დაწესებულება მათი ვიზიტის პერიოდში არ ახორციელებდა კვლევას და იმის გამო, რომ კოლეჯი იყო არც აქტუალურად არ მიიჩნევდა ამ საკითხს, თუმცა არსებობდა მემორანდუმები და შეთანხმებები, რომელიც პარტნიორებთან გარკვეული ტიპის კვლევებს მოიცავდა. საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა დაწესებულება ატარებდა თუ არა კონფერენციებს და დადებითი პასუხის შემთხვევაში რამდენი კონფერენცია ჰქონდათ ჩატარებული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა გურამ ადამაძემ განმარტა, რომ ბოლო კონფერენცია 2017 წელს ჩატარეს, სულ ჩატარებული ქონდათ 4 კონფერენცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციციჩო თურქაძემ გააცნო საბჭოს მე-7 სტანდარტის რეკომენდაციები:

- უსდ-მ უზრუნველყოს პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკის, ტექნიკური მექანიკის და ელექტრო მექანიკის ლაბორატორიების მოწყობა.
- შეიცალოს ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი და მოვიდეს სტანდარტთან შესაბამისობაში - კვირაში არანაკლებ 6 დღე, 60 საათი;
- უსდ-მ უზრუნველყოს საერთაშორისო ბაზებთან წვდომა.
- შეიმუშავეთ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები ინფორმაციული ტექნოლოგიების არსებული ინფრასტრუქტურის შეფასებაზე დაყრდნობით.
- უზრუნველყოფილ იქნას უსდ-ს ვებ-გვერდის სრულყოფილი ფუნქციონირება;
- დაიგეგმოს და გონივრულ ვადაში მოხდეს საინფორმაციო რესურსების სრულფასოვანი ფუნქციონირება და ხელმისაწვდომობა როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.
- უსდ-მ შეიმუშაოს და განავითაროს ელექტრონული პორტალი სტუდენტების სარგებლობისთვის.
- გადაიხედოს საფინანსო განყოფილების დებულება და ჩამოყალიბდეს ბიუჯეტის შედგენის პროცესი და პასუხისმგებლობები;
- უსდ-მ უნდა შეადგინოს ორგანიზაციის ბიუჯეტი, სადაც ნათლად იქნება ასახული შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილი და შესაბამისად იქნება გათვლილი სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას დაფინანსება სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და განვითარებისათვის.

საბჭოს წევრი ქეთევან ცხადაძე დაინტერესდა შინაგანაწესის ჩანაწერი ნორმის ანაზღაურების წინასწარ ავანსის სახით ან თვის ბოლოს ერთიანად მიღების შესახებ რატომ იყო დადგენილი. დაწესებულების

გენერალურმა დირექტორმა განმარტა, რომ ეს დასაქმებულთან შეთანხმების საგანი იყო და თუ ის აირჩევდა ხელფასის წინასწარ მიღებას დაწესებულება ამაში უწყობდა ხელს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ განცდა რომ რომელიმე სტანდარტი არ იყო ბოლომდე გამოკვლეული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ საბჭომ ყველა სტანდარტი ამოწურა ბოლომდე და მათ უკმარისობის განცდა არ ჰქონდათ. დაწესებულების გენერალურმა დირექტორმა განმარტა, რომ ისინი მადლობლები იყვნენ ექსპერტების და ყველა მათი რეკომენდაცია გაზიარებული იქნებოდა დაწესებულების მიერ. დაწესებულება საკმაოდ წარმატებულად ოპერირებდა ბაზარზე, მათი კურსდამთავრებულების 85% დასაქმებული იყო პროფესიით, ამ ეტაპზეც ელოდებოდნენ შორეული ნაოსნობის პრაქტიკიდან სტუდენტების დაბრუნებას, ზოგიერთი უკვე დაბრუნებული იყო, ჯამში 34 კურსდამთავრებული ჰყავდათ მიმდინარე წელს.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 18:30 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:53 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს, ჰქონდათ ხანგრძლივი დისკუსია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმაც აღნიშნეს, რომ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებას დააფუძნებდნენ, როგორც ექსპერტთა შეფასებას, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, ასევე განხილვის დროს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალებს.

საბჭომ დაადგინა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ანალიზის, დაწესებულების მიერ მონიტორინგისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და საბჭოს ზეპირი განხილვის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებდნენ, რომ დაწესებულებას მართალია ჰქონდა გარკვეული ხარვეზები, თუმცა მისი გამოსწორება იყო შესაძლებელი. საბჭო ითვალისწინებდა სტანდარტის მოთხოვნას, აგრეთვე დარგის სპეციალისტი ექსპერტების განმარტებას, ამასთან, საბჭო ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ დაწესებულებას მენეჯმენტში ჰქონდა ხარვეზები, კერძოდ სტრუქტურული ერთეულებს შორის იყო ნაკლები კომუნიკაცია, ძირითადი მმართველი რგოლიდან გენერალური დირექტორის მიერ მთელი სტრუქტურის უშუალო დაქვემდებარება იყო პრობლემური საკითხი, SWOT - შემუშავების მეთოდოლოგია არ არსებობდა, დაწესებულებას ფინანსური ანალიზის შემუშავებისათვის სათანადო კომპეტენტური თანამშრომლის არ ჰყავდა. საბჭოს მიიჩნია, რომ ყველა რეკომენდაცია, რომელიც გათვალისწინებული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, საჭიროებდა გამოსწორებასა და შესრულებას. შესაბამისად, საბჭო მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იყო კოლეჯს მისცემოდა ხარვეზების გამოსასწორებლად კონკრეტული ვადა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 დღიანი ვადის მიცემის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (ს/კ: 245539403) დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.



2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს მაღლობა გადაუხადა გაწეული შრომისათვის და შესთავაზა ცალკეული სტანდარტის მიხედვით განეხილათ დასკვნა, მოესმინათ დაწესებულების პოზიცია და შემდეგ ეპასუხათ საბჭოს წევრების შეკითხვებზე.

ექსპერტმა, ლილი შატერაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლის გზით. საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა, რატომ არ მოითხოვეს ექსპერტებმა ვიზიტის განხორციელება, რადგან მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულება შეფასდა ყველა სტანდარტთან მიმართებაში, რაც საკმაოდ რთული იქნებოდა მხოლოდ დოკუმენტაციის შესწავლის გზით. ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სავსებით საკმარისი იყო მონიტორინგისათვის და ვიზიტი დამატებით ინფორმაციას არ მისცემდათ. საბჭოს თავმჯდომარემ გაიზიარა საბჭოს წევრის მოსაზრება ვიზიტის საჭიროებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ აუცილებელი იყო მონიტორინგის დროს ვიზიტის განხორციელება, ინტერვიუება და მატერიალური რესურსის დათვალიერება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეფასება არ იქნებოდა სრულყოფილი.

ექსპერტმა ლილი შატერაშვილმა განმარტა, რომ პირველი და მეორე სტანდარტი ჯგუფის თავმჯდომარის მიერ იქნა შეფასებული, თუმცა სხდომას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ესწრებოდა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო პირველი სტანდარტის რეკომენდაციები:

- სტრატეგიულ გეგმაში მიეთითოს უსდ-ს სტრატეგიული მიზნების კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა;
- სამოქმედო გეგმაში მიეთითოს განსახორციელებელი აქტივობების განხორციელებისთვის შესაბამისი რესურსები - პასუხისმგებელი პირი თუ სამსახური.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა რომელი მეთოდოლოგიით ადგენდა დაწესებულება SWOT-ს, რაზეც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ლევან მიდოდაშვილმა განმარტა, რომ სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასება განხორციელდა მხარეთა აქტიური ჩართულობით, ეს იყო სტუდენტის, პერსონალის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, ბაზრის კვლევა, შეფასებული იქნა არსებული რესურსები, ეს იყო კომპლექსური პროცესი, მათი მთავარი მიზანი იყო შეფასებინათ სუსტი მხარეები.

საბჭოს წევრის ირაკლი ხეთისიაშვილის კითხვაზე თუ რა იყო მათ ძლიერი მხარე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი ერთერთი ძლიერი მხარე გეოგრაფიული მდებარეობაა, ეს არის ერთადერთი უნივერსიტეტი რეგიონში. მათ მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებზე დიდი მოთხოვნა იყო რეგიონში დასაქმების მიზნით, რესურს ცენტრების, საშუალო სკოლებში დასაქმებული პირები და პედაგოგები ძირითადად მათი კურსდამთავრებულები იყვნენ.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამებთან დაკავშირებით, ვინაიდან მათ 41 საგანმანათლებლო პროგრამა ჰქონდათ, აქედან 40 აკრედიტებული იყო, როგორი იყო მათი სტრატეგია, სამომავლო ხედვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით, ხომ არ ფიქრობდნენ ზოგიერთი პროგრამის გადახედვას. რაზეც ლევან მიდოდაშვილმა განმარტა, რომ ეს მათთვის მტკივნეული საკითხი იყო, რადგან ზოგიერთი პროგრამა, მაგალითად გეოგრაფიის, ფილოლოგიის, სადაც ერთეული სტუდენტი სწავლობდა, ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით არ ჰქონდათ კარგი მდგომარეობა, მიუხედავად ამისა დაწესებულება გეგმავდა ამ პროგრამების შენარჩუნებას. რექტორის მოადგილემ, გიორგი სოსიაშვილმა დამატებით განმარტა, რომ სახელმწიფო ცვლიდა მიდგომას და პროგრამული დაფინანსების წესში შექონდათ ცვლილება, რაც დაწესებულებას მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა მესამე საფეხური, მისცემდა პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსების შესაძლებლობას, რაც ნაკლებ მოთხოვნადი პროგრამების მიმართ გაზრდიდა აბიტურიენტთა ინტერესს.

საბჭოს წევრის მარინა გედევანიშვილის კითხვაზე, რომელი იყო ის ერთი პროგრამა, რომელსაც აკრედიტაცია არ ჰქონდა მიანიჭებული, დაწესებულების წარმომადგენელმა ციური დურულმა განმარტა, რომ ეს იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ავტორიზაციის ფარგლებში დაიმტკიცა.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტმა, ია მოსაშვილმა განმარტა, რომ შემუშავებული ჰქონდათ რამოდენიმე რეკომენდაცია, სტუდენტთა გამოკითხვის მიხედვით სტუდენტები კმაყოფილნი იყვნენ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულების მიერ გატარებული ღონისძიებებით, თუმცა მათი რეკომენდაცია იყო უფრო გაეაქტიურებინათ ამ მიმართულებით მუშობა, სტუდენტებს მისცემოდათ უფრო მეტი შესაძლებლობა ჩართულიყვნენ საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში. ასევე მათი რჩევა შეხებოდა ვებ გვერდზე „პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები“ და „პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესის“ განთავსებას, რათა უფრო ხელმისაწვდომი ყოფილიყო სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

ექსპერტებმა წარადგინეს რეკომენდაციები მე-2 სტანდარტთან მიმართებით:

- უნივერსიტეტის პერსონალს მიეცეს უფრო მეტი შესაძლებლობა, ჩაერთონ საერთაშორისო აკადემიურ ღონისძიებებში;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინოს გეგმა, თუ როგორ ახორციელებს ინფორმაციის ანალიზს და პრობლემების იდენტიფიცირების შემთხვევაში, როგორ რეაგირებს მათზე;
- უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა მიერ განხორციელებულ შეფასებებზე რეაგირების მექანიზმი და სტუდენტებისთვის მიწოდებული იყოს ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ;
- დაწესებულებამ შეიძინოს სპეციალური პროგრამული პაკეტი პლაგიატიზმის იდენტიფიცირებისთვის იმისათვის, რომ უზრუნველყოს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა;

დაწესებულების რექტორის მოადგილემ, გიორგი სოსიაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულება ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით ძალიან აქტიურად მუშაობდა არა მხოლოდ მათი სტუდენტების გაგზავნას უწყობდნენ ხელს, არამედ უცხოელი სტუდენტებიც ჩამოყავდათ, წინა წელს საკმაოდ დიდი ჯგუფი უცხოელი სტუდენტების ჩამოიყვანეს, მოაწყვეს საზაფხულო ბანაკი. დაწესებულების წარმომადგენელმა ციური დურულმა დამატებით აღნიშნა, რომ მათ საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტი გამოუგზავნეს ექსპერტებს, სადაც ჩამოთვლილი იყო ის ღონისძიებები და აქტივობები, რომელსაც დაწესებულება ახორციელებდა, ჰქონდათ პერსონალისა და სტუდენტებისათვის გაცვლითი პროექტები, მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებში, საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს, ვინაიდან დაწესებულება განმარტავდა, რომ ჰქონდათ საერთაშორისო გაცვლითი პროექტები სტუდენტებისა და პერსონალისათვის, ახორციელებდნენ სხვადასხვა აქტივობებს, რატომ არ დაეყრდნენ ექსპერტები ამ შემთხვევაშიც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, რაზეც ექსპერტმა, ლილი შატერაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას მართლაც შთამბეჭდავი აქტივობები ჰქონდა, თუმცა რადგან გამოკითხვებში პერსონალი და სტუდენტები მეტ აქტივობას ითხოვდნენ, ექსპერტებმა ამიტომ შეიმუშავეს ეს რეკომენდაცია და ისინი არ მიიჩნევდნენ, რომ ეს ნეგატიური შეფასება იყო. რექტორის მოადგილემ, გიორგი სოსიაშვილმა განმარტა, რომ მათ საკმაოდ ბევრი აქტივობა ჰქონდათ, მიმდინარე წლის მაისის თვეში რამდენიმე სტუდენტი მიდიოდა გაცვლითი პროგრამით, ასევე აკადემიური პერსონალი უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტში მიწვეული იყვნენ ლექციების ჩასატარებლად, გასულ წელს მოაწყვეს საზაფხულო სკოლა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ უცხოელი სტუდენტები, ზაფხულის სკოლა მოეწყო ატენის ხეობაში, სადაც საკმაოდ დიდ ტერიტორიას ფლობს უნივერსიტეტი, ასევე აქვთ აღჭურვილობა და სათანადო ინვენტარი.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა, ციური დურულმა განმარტა, რომ „პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები“ და „პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი“ ვებგვერდზე უკვე განთავსებულია და ეს აღნიშნეს კიდევ არგუმენტირებულ პოზიციაში, დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს დადებული და ჩართულია პლაგიატიზმის პროგრამაში.

საბჭოს წევრის გიორგი გვალას კითხვაზე ხელშეკრულების გაფორმებამდე რა მექანიზმი ჰქონდათ ანტიპლაგიატის წინააღმდეგ შემუშავებული დაწესებულებას, ციური დურულმა განმარტა, რომ იყენებდნენ ინტერნეტში განთავსებულ უფასო პროგრამებს, პლაგიატის რამოდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა მაგისტრების ნაშრომებში, რის გამოც გაუუქმდათ ნაშრომი და ხელახლა მოუწიათ ნაშრომის დაწერა.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა, აზრი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ როცა ექსპერტთა ჯგუფის წევრი ხელს აწერს საბოლოო დასკვნას, ეს იმას ნიშნავს, რომ ის იზიარებს სრულ პასუხისმგებლობას აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, ამდენად, ექსპერტის მხრიდან არ არის მართებული აქცენტის გაკეთება იმაზე, რომ კონკრეტული სტანდარტი მის მიერ არ არის შეფასებული. მარინა გედევანიშვილმა ასევე კითხვა დასვა ექსპერტების მისამართით, რა იგულისხმეს რეკომენდაციაში, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა წარმოადგინოს გეგმა, თუ როგორ ახორციელებს ინფორმაციის ანალიზს და პრობლემების იდენტიფიცირების შემთხვევაში, როგორ რეაგირებს მათზე. ექსპერტმა, ია მოსაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტები

გულისხმობდნენ გამოკითხვების შემდგომ კონკრეტული პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში როგორი იქნებოდა დაწესებულების რეაგირება, ეს ყოფილიყო გაწერილი გეგმის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ რომელიმე ელექტრონული პლათფორმა სასწავლო პროცესში გამოყენებული, რაზეც ლევან მიდოდაშვილმა განმარტა, რომ ისინი იყენებდნენ ელექტრონულ სისტემას სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს კურსის შედეგების შესაფასებლად, ეს საკმაოდ ქმედითი მექანიზმი იყო.

მე-2 სტანდარტის განხილვისას გაჩნდა კითხვები მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით და თავმჯდომარის თხოვნით გადავიდნენ მე-3 სტანდარტის განხილვაზე. რექტორის მოადგილემ გიორგი სოსიაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულება მჭიდროდ თანამშრომლობდა დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულების შესახებ სრულ ინფორმაციას გადასცემენ დასაქმებულს, დასაქმებულებთან ურთიერთობაში ეხმარება ის ფაქტიც, რომ რეგიონში არსებული ყველა დაწესებულების მმართველი პირი ძირითადად მათი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს, რომ ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზით ვერ დაადგინა ჩართულობის იყვნენ თუ არა სტუდენტები პროგრამის შემუშავებაში, იყო თუ არა ეს კითხვარის პრობლემა. ექსპერტმა ია მოსაშვილმა განმარტა, რომ ამ კითხვარით ზუსტად ვერ დგინდებოდა სტუდენტთა ჩართულობა. ლევან მიდოდაშვილმა განმარტა, რომ სტუდენტთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში ხდებოდა სტუდენტთა გამოკითხვის გზით, გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ხდება პროგრამაში ცვლილებების შეტანა. ციური დურულმა განმარტა, რომ დაწესებულება სტუდენტთა გამოკითხვას 2011 წლიდან აწარმოებდა, ეს მათთვის ახალი არ იყო. გამოკითხვების შედეგების დამუშავება/ანალიზი და შემდგომ საქმიანობაში ცვლილებების ასახვა მათთვის ჩვეული საქმიანობა იყო.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა რას გულისხმობდნენ ექსპერტები - „არასრულყოფილად არის წარმოდგენილი ისტორიის მაგისტრატურის პროგრამის სილაბუსები“, სად არ იყო წარმოდგენილი ეს დოკუმენტები, ექსპერტებისათვის გადმოგზავნილი დოკუმენტებში. ექსპერტმა ია მოსაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტებმა მითხოვეს დამატებითი დოკუმენტები, თუმცა ხსენებული საგნის სილაბუსები არ იყო სრულად წარმოდგენილი.

ექსპერტებმა საბჭოს წევრებს გააცნეს მე-3 სტანდარტის რეკომენდაციები:

- გამოკვეთილად ჩანდეს შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნები; როგორ იქნა ეს მოთხოვნები ასახული პროგრამის შემუშავების/მოდულიზაციის პროცესში;
- სტუდენტთა გამოკითხვა ეხებოდეს პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებს; როგორ იქნა ეს მოთხოვნები ასახული პროგრამის შემუშავების/მოდულიზაციის პროცესში;
- კვლევები ჩატარებულ იქნას დარგების მიხედვით და იყოს რაოდენობრივად უფრო მოცულობითი;
- პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იყოს პროფესიულ ასოციაციებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის/კონსულტაციის შედეგები, როგორც საუკეთესო უცხოური და ადგილობრივი გამოცდილება;
- სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას;
- სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად გამჭვირვალე საგანთან მიმართებაში;

- აისახოს პროგრამების შეფასების შედეგად განხორციელებული ღონისძიებები;
 - სტუდენტთა კითხვარში დამატოს კითხვები მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ
- სტუდენტთა ინფორმირებულობის თაობაზე.

მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა ლილი შატერაშვილმა ისაუბრა ექსპერტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე და განმარტა, რომ ამ სტანდარტში დაწესებული შეფასება, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მისი თქმით, დაწესებულებას საკმაოდ კვალიფიციურად ჰქონდა შემუშავებული ამ სტანდარტთან დაკავშირებით მარეგულირებელი დოკუმენტები, მათი შენიშვნა მდგომარეობდა პერსონალის დატვირთვის ერთიანი მატრიცის შედგენასა და პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სათანადო გეგმის შედგენაში.

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების და გადამზადების გეგმა, რომლითაც განსაზღვრული იქნება ღონისძიებების პერიოდულობა და პერსონალის მიერ კურსებში მონაწილეობის რეგულარობა. გეგმის შემუშავებაში ჩართული უნდა იყვნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის დაგეგმვისთვის და მისი მონიტორინგისთვის ყოველი ლექტორისთვის შედგენილ იქნეს ერთიანი მატრიცა, რომელშიც შეტანილი იქნება მისი საათობრივი დატვირთვა როგორც მოცემულ უნივერსიტეტში, ასევე სხვა უსდ-ში მის მიერ შემოთავაზებული საგნების მითითებით, რომლის აქტუალიზაცია მოხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულება კონკურსის წესით შეარჩევს საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირებს, თუმცა მუდმივად ხდება მათი პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება, ამ ეტაპზე პერსონალის ენის კომპეტენციის ამაღლების მიზნით, დაწესებულების დაფინანსებით, ხორციელდება ენის კურსები, ამასთან ყოველკვირეულად ხდება შეხვედრის ორგანიზება პერსონალთან და მათ აცნობენ ყველა იმ სიახლეს, რომელიც საქმიანობის პროცესში პერსონალისთვის აუცილებელია. ექსპერტმა ლილი შატერაშვილმა დაადასტურა, რომ დაწესებულება ნამდვილად ახდენდა პერსონალის ინფორმირებას საკანონმდებლო ცვლილებების/სიახლეების შესახებ, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაცია შეეხებოდა დაწესებულების მიერ გრძელვადიან პერიოდზე გაწერილი გეგმის შედგენას, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების გაწერით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას შემუშავებული იყო თუ არა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, ციური დურულმა განმარტა, რომ ასეთი დოკუმენტი შემუშავებული იყო და შედგებოდა 12 ქვე დოკუმენტისგან, რომელიც საკმაოდ მოცულობითი იყო. ექსპერტმა ლია შატერაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ ამ სტანდარტის მიმართ ექსპერტთა შეფასება პოზიტიურ იყო, თუმცა მათი რეკომენდაციის მიზანი იყო უფრო მეტად გაუმჯობესებულიყო დაწესებულების საქმიანობა.

მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა, სალომე მაგნიძემ განმარტა, რომ 5.1. ქვესტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ ჰქონდათ, 5.2. სტანდარტთან დაკავშირებით მხოლოდ ორი რეკომენდაცია იყო შემუშავებული, შეფასება იყო მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები:

ქართული

- უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმი კარიერულ მხარდაჭერასთან მიმართებით;
- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის რეგულარული და ეფექტური განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე რამდენად სრულყოფილად შეფასდა ეს სტანდარტი სტუდენტებთან ინტერვიუების გარეშე, ექსპერტმა უპასუხა, რომ სტუდენტებთან ინტერვიუება ნამდვილად ინფორმაციული იქნებოდა და ეს რჩევა გასათვალისწინებელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ციური დურულმა განმარტა, რომ დაწესებულებას შექმნილი ჰქონდა სპეციალური სტრუქტურული ერთეული - სტუდენტების მხარდაჭერის ცენტრი, სტუდენტებთან ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა, კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებდნენ სოციალურ ქსელს. ასევე მოქმედებდა სტიპენდიების პროგრამა, როგორც სახელმწიფო სტიპენდია, ასევე სხვა ფინანსური შეღავათები. რექტორის მოადგილემ გიორგი სოსიაშვილმა განმარტა, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკება ადგილობრივ თვითმმართველობასთან და სატრანსპორტო კომპანიასთან რათა სტუდენტებისათვის მგზავრობის შეღავათიანი საფასური დაწესებულიყო.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას რატომ წარუდგინეს ექსპერტებს 2011 წლის დოკუმენტი ფინანსური შეღავათების შესახებ, რაზეც ციური დურულმა განმარტა, რომ ამ დოკუმენტის წარდგენა ნიმუშის სახით მოხდა, ამასთან ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ დაწესებულება საკმაოდ დიდი ხნით ადრე ზრუნავდა ამ მიმართულებით სტუდენტებზე. საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა განმარტა, რომ ის ხარჯები რომელიც ამ სტუდენტთა შეღავათებზე იყო გაცემული სრულად იყო ასახული სენატის გადაწყვეტილებებში რომელიც წარმოდგენილი იყო საქმის მასალებში, ამდენად დოკუმენტების მიწოდების პრობლემა ექსპერტებისათვის არ იკვეთებოდა.

მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით ია მოსაშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში არ იყო სრულად ასახული სამეცნიერო კვლევების შესახებ ინფორმაცია, ციური დურულმა დაადასტურა, რომ ინფორმაციის წარდგენა სრულყოფილად ვერ მოხდა, რადგან აკადემიურმა პერსონალმა გვიან გადასცა ადმინისტრაციას სამეცნიერო კვლევების თაობაზე შევსებული სპეციალური ფორმები, თუმცა ამ ეტაპზე ხდებოდა სამეცნიერო კვლევების ბაზების შექმნა, რაც გაამარტივებდა სამომავლოდ ინფორმაციის მოძიებას.

ექსპერტმა, ია მოსაშვილმა გააცნო საბჭოს წევრებს მე-6 სტანდარტის რეკომენდაციები:

- სრულყოფილად და ორგანიზებულად იქნას წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები;
- ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო დონის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე და აქტივობებზე;
- შემუშავდეს კვლევითი განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების ხარჯების ბოლო 5 წლის დინამიკა;
- შემუშავდეს დოკუმენტი, სადაც ჩანს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის შემდგომი ღონისძიებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ხვთისიაშვილმა განმარტა, რომ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დასაფინანსებლად დაწესებულებას ასახული ჰქონდა ფინანსური რესურსი ბიუჯეტში. ამასთან განმარტა, რომ დაწესებულება ბანკში განთავსებული თანხიდან იღებდა საპროცენტო სარგებელს, რაც

საუკეთესო პრაქტიკად უნდა მიჩნეულიყო და ეს გამოცდილება სხვა დაწესებულებებსაც გაეზიარებინათ.

მე-7 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ ამ სტანდარტის შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულებას არგუმენტირებულ პასუხში განმარტება არ ჰქონდა გაკეთებული, ზოგადად ვიზიტი უფრო ინფორმატიული იქნებოდა თუმცა ამ სტანდარტთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გამოკითხვები სრულად საკმარისი იყო სტანდარტის შესაფასებლად. თავმჯდომარის კითხვაზე, როგორ შეფასდა მატერიალური რესურსი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვიზიტის გარეშე, როგორ შეამოწმეს იყო თუ არა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ბაზები, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული სტანდარტი შეფასდა სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებით, სადაც დეტალურად იყო აღწერილი არსებული მატერიალური რესურსი.

ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა გააცნო საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მე-7 სტანდარტთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება ინკლუზიური მიდგომების, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინებით;
- დაზუსტდეს სასწავლო და დამხმარე ფართის საერთო ოდენობა
- საკმარისი რაოდენობის საბიბლიოთეკო რესურსებით და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა;
- საბიბლიოთეკო გარემოს გაუმჯობესება და სამკითხველო დარბაზებში მკითხველთათვის ადგილების რაოდენობის გაზრდა;
- საბიბლიოთეკო ელექტრონულ რესურსებზე წვდომასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელება
- ელექტრონული სერვისებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაძლიერება სტუდენტებისა და პერსონალისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით;
- ვებ-გვერდის ფუნქციონირების გაუმჯობესება
- სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით დაფინანსების გაზრდა;
- აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების მიზნით გამოყოფილი ფინანსური რესურსების გაზრდა;
- ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ განცდა იმის თაობაზე, რომ რომელიმე სტანდარტი არ იყო სრულად გამოკვლეული, წარმომადგენლებმა დაადასტურეს, ხომ განხილვა ყველა სტანდარტთან დაკავშირებით სრულად იყო ჩატარებული. თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს გაწეული სამუშაოსთვის.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 20:40 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 20:53 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს, ჰქონდათ დისკუსია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნა, რომ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებას დააფუძნებდნენ, როგორც ექსპერტთა შეფასებაზე, ასევე საჯარო განხილვის დროს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვინაიდან ექსპერტებმა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე შეადგინეს დასკვნა, შესაძლოა რეალური სურათი ყოფილიყო განსხვავებული, ვინაიდან ზეპირი განხილვისას დაისვა ისეთი კითხვები, რომლებზეც ვერ მივიღეთ ამომწურავი პასუხები.

ზეპირ მოსმენაზე გამართული განხილვის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ანალიზის, დაწესებულების მიერ მონიტორინგისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა შედეგად საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულების მართვა ეფექტურად ხორციელდება, მე-2 სტანდარტის 2.1 კომპონენტში „ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა“ უნდა შეფასებულიყო, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან, თუმცა, მე-2 სტანდარტი შეფასების შკალის მიხედვით კვლავ რჩებოდა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ასევე მე-3 სტანდარტის 3.1. კომპონენტი „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება“ უნდა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ქვესტანდარტით მოთხოვნილი მარეგულირებელი დოკუმენტი, თუმცა, მე-3 სტანდარტი შეფასების შკალის მიხედვით კვლავ რჩებოდა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის (ს/კ: 218076542) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 20:56 საათზე.

თავმჯდომარე

მარიამ დარბაიძე



მდივანი

ნინო ხოლუაშვილი

